ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 33 (5063) 1974 წ. 16 თებერვალი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის შესახებ

15 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობა.

გაისმის საზეიმო მარში და დარბაზში შემოაქვთ საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წითელი დროშა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშები.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ბ. ბიბილური, პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, ბ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზია, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. დუიტენევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. ხარლანოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ბარციცი, მ. ფახუაშვილი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არამახაშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ქ. გოგიტიძე, გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ხასაია, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე პ. ხარჩილაძე, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ახალგაზრდული გაზეთების რედაქტორები, პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული მუშაკები.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობას ესწრებიან სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ნ. რუკავიშნიკოვი, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები — სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის, სამეფო ხომალდის „კრასნი კავკაზის" კომკავშირული ორგანიზაციის დელეგაციები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მტკიცდება რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:
ა) საქართველოს ალკკ ხელმძღვანელი ორგანოებისა;
ბ) სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობისადმი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ბიბილურმა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის, საკავშირო ალკკ XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის მუშაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისთვის რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ" ყრილობაზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. შარტავამ.

საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა მისმა თავმჯდომარემ რ. ნინიძემ.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.



საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ნ. რუკავიშნიკოვი საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის სტუმარია. სურათზე: (მარცხნიდან) რ. სიხარულიძე, პ. შამუგია, ნ. რუკავიშნიკოვი, ლ. თედიაშვილი და ქ. ლოსაბერიძე-გვეტაძე შესვენების დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## კომკავშირელის მუშური ხელები

იმ დღესაც ჩვეულებრივ გუგუნებდნენ დაზგები და ჩარხები, მაგრამ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობას, კომკავშირელებს მაინც სხვაგვარი შემართება და მონდომება ეტყობოდათ. ქარხნის სხვა მშრომელებთან ერთად, მათ გადაჭარბებით შეასრულეს როგორც შარშანდელი, ისე იანვრის გეგმავალდებულებანი და ახლა შუბლგახსნილი და ხელხვავიანი შეეგებნენ საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობას.

როდესაც ქარხნის მოწინავე კომკავშირელი ვიკითხეთ, უმალ მე-8 საამქროს კომუნისტური შრომის კომკავშირული ბრიგადის (ბრიგადირი გ. ჯებაშვილი) წევრი, ამლეხი არჩილ კიკალიშვილი დაგვისახელეს. თან გვირჩიეს, ახლა საამქროებში შესვენებაა და არჩილი უთუოდ კომკავშირელთა შტაბში იქნებაო. იგი მართლაც იქ დაგვხვდა: სხვა მოწინავე კომკავშირელებთან ერთად რაღაცას თავს დასტრიალებდა.

— ჩვენი კედლის გაზეთის მაკეტს ვადგენთ. ნომერი საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობას ეძღვნება და გვინდა კარგი გამოვიდეს. — გვითხრა არჩილმა.

კიკალიშვილი 9 წელია, რაც კიროველებთან მუშაობს. ამ ხნის მანძილზე კარგი შრომით თავისი კოლექტივის პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა, ამიტომაც აირჩიეს იგი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ.

ჩვენ თვალს ვადევნებდით არჩილის საქმიანობას. დეტალების ზუსტ დამუშავებას მიჩვეული, მისი დაკოჟრილი ხელები საოცარი სისწრაფითა და სიზუსტით მუშაობდნენ. როგორც აქაური მუშა-მოსამსახურენი ამბობენ, მისი პროფესია იუველირის სიზუსტეს მოითხოვს. ამისთვის კი დიდი ნებისყოფაა საჭირო. ეს უკანასკნელი არჩილს სპორტმა გამოუმუშავა. იგი ხომ თბილისის „დინამოს" რეგბისტთა გუნდის წევრი იყო, როდესაც სსრ კავშირის ჩემპიონატში „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა.

არჩილს ძალზე შესტკივა გული ქარხნის ფიზკულტურელებზე.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი პირველი იყო რესპუბლიკაში, რომელსაც სპორტკლუბის სახელი მიენიჭა და „გამარჯვება" ეწოდა. სამწუხაროდ, წარმატებებმა სპორტში შემდეგ თანდათან იკლო. კრიტიკამ ნაყოფი გამოიღო. ფიზკულტურასა და სპორტში წარმატებებმა ისევ იმატეს — გვითხრა მან.

სხვათა შორის, არჩილი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია და, როდესაც მას საკურსო შრომის დაწერა დაავალეს, მან თემად მშობლიური ქარხნის სპორტული ცხოვრება აირჩია.

— ისიც დაწერეთ, რომ არჩილი ქარხნის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელიცაა. მისი მეცადინეობით ჩვენმა ფეხბურთელებმა საქალაქო პირველობაზე მესამიდან მეორე ჯგუფში გადაინაცვლეს და იქაც წარმატებით თამაშობენ — გვითხრა ქარხნის ფიზკულტურელთა თავკაცმა ფ. კოლესნიდიმ.

• • •

სურათზე: ა. კიკალიშვილი მუშაობის დროს.



## „სპარტაკი" დამარცხდა

კიევი, 14 თებერვალი. ჯერ კიდევ უკრაინის დედაქალაქის არმიელებთან მატჩში გახდა ცხადი, რომ ლენინგრადის „სპარტაკს" გაუჭირდებოდა მეორე მატჩის მოგება კიევში. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა დიდის გაჭირვებით მოუგო ტაიმი აუტსაიდერს (36:35) და შემდეგ მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა, რათა 5-ქულიანი სხვაობისთვის მიეღწია.

„სტროიტელმა" კარგად შეაფასა მეტოქის სისუსტეები და „სპარტაკს" თავიდანვე ძნელი თამაში მოახვია თავს. ნევისპირელებმა ყველაფერი იღონეს მდგომარეობის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. მათი დამარცხება ამ შეხვედრაში — 76:85 (36:43) სავსებით კანონზომიერი იყო.




### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 13 | 1 | 1274—1094 | 13 |
| „სპარტ." | 15 | 12 | 3 | 1114—992 | 12 |
| „კალევი" | 14 | 9 | 5 | 1101—1023 | 9 |
| „სტროიტ." | 15 | 9 | 6 | 1241—1174 | 9 |
| „დინ." (მ.) | 14 | 7 | 7 | 1111—1101 | 7 |
| „დინ." (თბ.) | 16 | 7 | 9 | 1210—1237 | 7 |
| რტი | 14 | 5 | 9 | 981—1106 | 5 |
| „ჟალგირ." | 14 | 4 | 10 | 1035—1068 | 4 |
| ასკ (რიგა) | 15 | 4 | 11 | 1119—1258 | 4 |
| ასკ (კიევი) | 15 | 3 | 12 | 1093—1226 | 3 |

## ლიდერებს უჭირთ

კიევი, 14 თებერვალი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მესამე კალენდარულ დღეს ლიდერებმა კვლავ სითო ქულა აიღეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად ისინი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

შედარებით იოლად მოიგო ბრძოლა ლენინგრადის „სპარტაკმა". I ტაიმში მისი უპირატესობა მოსკოვის თანაკლუბელებთან 10 ქულით განისაზღვრა — 34:24. შესვენების შემდეგ მოსკოველებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს — 46:58.

სვერდლოვსკის „ურალმაშსაც" კარგად ჰქონდა საქმე შესვენებამდე. მან, ისევე როგორც ლიდერმა, ტაიმი ლენინგრადის „ბურევესტნიკს" დამაჯერებლად მოუგო (36:24). II ნახევარში უპირატესობა ნევისპირელთა მხარეს იყო, მაგრამ მათ მხოლოდ სხვაობის შემცირება შესძლეს. „ურალმაშმა" გაიმარჯვა — 63:56.

მოსკოვის ოლქის „სპარტაკისა" და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრაში მდგომარეობა დიდხანს გაურკვეველი ჩანდა. არაფრის მთქმელი იყო ის 1-ქულიანი სხვაობა, რომელსაც ოლქის კალათბურთელებმა შესვენებამდე მიაღწიეს (29:28). ბრძოლის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებზე გადაწყდა. გაიმარჯვა „სპარტაკმა" — 64:61.

კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ტტტ-მ. ამჯერად მან ალმა-ათის „ბურევესტნიკს" მოუგო — 64:42 (35:24).

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 81:62 (37:30), „დინამო" (კიევი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 71:69 (33:36).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენ.) | 19 | 17 | 2 | 1237—940 | 17 |
| „ურალმ." | 19 | 16 | 3 | 1194—1041 | 16 |
| „სპარტაკი" (მ. ოლქი) | 19 | 14 | 5 | 1247—1200 | 14 |
| „დინამო" (კიევი) | 19 | 12 | 7 | 1259—1187 | 12 |
| ტტტ (რიგა) | 18 | 11 | 7 | 1139—1054 | 11 |
| „დინამო" (მოსკ.) | 19 | 10 | 9 | 1208—1105 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ალ.-ათა) | 19 | 9 | 10 | 1167—1183 | 9 |
| „კიბირკ". (ვილნ.) | 19 | 9 | 10 | 1140—1175 | 9 |
| „სპარტაკი" (მოსკ.) | 18 | 4 | 14 | 979—1088 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი" (მ.) | 19 | 4 | 15 | 1064—1194 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (ლენ.) | 19 | 4 | 15 | 1011—1228 | 4 |
| „სტროიტელი" (ფრუნზე) | 19 | 3 | 16 | 1077—1327 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

# როცა თავკაცს სპორტი უყვარს

ხავაგონო დეპო. ფიზკულტურელთა შტაბი. ოთახი სავსეა სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებული სპორტული ნადავლით. ფიზკულტურელთა თავკაცთან, სპორტის ოსტატ ს. ბედნენკოსთან ერთად დეპოს სპორტულ ბაზებს ვათვალიერებთ. აი, სპორტული ოთახი. აქ დეპოს მუშა-მოსამსახურენი მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში ვარჯიშობენ.

შემდეგ 25-მეტრიან ტირს ვესტუმრეთ.

— ტირის აგებამ ძალიან გაგვიადვილა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ნაწილობრივ სწორედ ამ ტირს უნდა ვუმადლოდეთ, რომ შარშან 150 კაცის ნაცვლად ნორმატივები 170-მა ჩააბარა, — გვეუბნება ჩვენი მეგზური.

სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურასა და სპორტში აღებული ყველა ვალდებულება: 1 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადდა 2, 3 სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნაცვლად — 5, 6 პირველთანრიგოსნის ნაცვლად — 8... დეპოელები „ლოკომოტივის" რესპუბლიკური სპარტაკიადისა და სპორტკლუბ „ელმავლის" ჩემპიონები არიან.

სავაგონო დეპოს კომპლექსური სპორტული ბაზა. აქ თავმოყრილია ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთისა და ჭიდაობის მოედნები.

— ჩვენი უფროსი დავით ხოხაშვილი ქართული ჭიდაობის დიდი ტრფიალია. იგი 24 წლის წინათ მოვიდა დეპოში და ელექტროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ხოხაშვილს ბევრჯერ დაუცავს დეპოს სახელი როგორც შრომაში, ისე სპორტში. იგი ხომ წარსულში საქართველოს ჩემპიონი გახლდათ ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, — გვიამბო ფიზკულტურელთა თავკაცის მოადგილემ, სპორტის ოსტატმა ს. დუშმანიშვილმა.

— რა ვქნა, მართლაც ძალიან მიყვარს ჭიდაობა. ჩვენს გვარს ეს ტრადიციად მოსდევს. სამწუხაროდ, ფიზიკურმა ტრავმამ ნაადრევად ამაღებინა ხელი ჭიდაობაზე. ახლა, როცა მშობლიური დეპოს ფალავნების ჭიდილს ვუყურებ ხოლმე, გული საგულეს აღარა მაქვს, ჩემი სიჭაბუკე მახსენდება. — გვეუბნება დეპოს უფროსი.

ხოხაშვილს დეპოს რამდენიმე ახალგაზრდა მუშაკის ფოტოსურათები ვაჩვენეთ და ვუთხარით, რომ გვინდოდა ეს სურათები გაზეთში დაგვებეჭდა.

— ოო, შესანიშნავი ბიჭები არიან! — გვითხრა მან. — ვიქტორ შირიკინმა და ჯეირან ციცქიშვილმა დიდი ხანია ჩვენს კოლექტივში სახელი გაითქვეს კარგი შრომით. პირველი შესანიშნავი ხარატია, ხოლო მეორე — კარგი ელექტროტექნიკოსი. ამასთან, ორივენი პირველთანრიგოსანი ფეხბურთელები არიან და ერთად იცავენ დეპოს სპორტულ ღირსებას.

იოსებ თათრიშვილი და ვლადიმერ შახბაზოვი კი არც ისე დიდი ხანია ჩვენს კოლექტივში მოვიდნენ, მაგრამ უკვე მოიპოვეს ავტორიტეტი, როგორც გამრჯე მუშებმა და საუკეთესო ფიზკულტურელებმა.

შრომასა და სპორტში მოწინავე კიდევ ბევრი გვყავს. დავასახელოთ, მაგალითად, ვასილ გიშუკი, ვასილ ვალევიჩი, ჰამლეტ კოკოშვილი, ზაურ კიკნაძე, ტარიელ მაზმიშვილი... ჩვენთან 1200-ზე მეტი ფიზკულტურელია. მათ განსაკუთრებით უყვართ სავაგონო დეპოს სპარტაკიადები. ეს შეჯიბრება წლეულსაც ტარდება და მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ეძღვნება.

სავაგონო დეპოს მშრომელები ყოველ წელიწადს ახალ-ახალი გამარჯვებებით ეგებებიან. მათ შარშანაც კარგად იშრომეს და წლიური გეგმა 29 დეკემბრისთვის მთლიანად შეასრულეს. მაგრამ სულ სხვაა წლევანდელი წელი. ახლა ჩვენები მეტი ენერგიით შრომობენ, რათა პირნათლად შეასრულონ ის დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი, რაც პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ აიღეს. დეპოს მუშა-მოსამსახურეებს გადაწყვეტილი აქვთ წლიური გეგმა 28 დეკემბრისთვის მთლიანად შეასრულონ. დამატებითს სოციალისტურ ვალდებულებებში, სხვა პუნქტებთან ერთად სპორტული მოედნების კეთილმოწყობა, ახალგაზრდებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის კიდევ უფრო გაშლა და მათი სპორტულ სექციებში ჩაბმაც შედის.

იმედია, სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეები სიტყვას შეასრულებენ და მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

ა. მურასაშვილი.







სურათებზე (ზემოდან): ხარატი ვ. შირიკინი; ელექტროტექნიკოსი ჯ. ციცქიშვილი; ი. თათრიშვილი (მარცხნივ) და ვ. შახბაზოვი. ავტორის ფოტოები.

---

### წერილი რედაქციას

## რატომ დაივიწყეს?

ათი წლის წინათ რიგაში პროფკავშირთა საკავშირო პირველობის დროს ღერძიდან მოწყდა და ტრაგიკულად დაიღუპა ჩინებული ტანმოვარჯიშე, გულისხმიერი მეგობარი ჯემალ ფრიდონიშვილი. იგი, როგორც იტყვიან, თავის ხამუშაო პოსტზე გარდაიცვალა. ჯემალ ფრიდონიშვილი იყო პროფკავშირების სპარტაკიადის ჩემპიონი ტაიჭზე ვარჯიშში, „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს მრავალჭიდის ჩემპიონი. თავმდაბალი, ერთგული მეგობარი და კაცური კაცი მუდამ სამაგალითო იყო ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთათვის. უნდა ითქვას, რომ ფრიდონიშვილი იმ სპორტსმენთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც კარგ ბუნებრივ მონაცემებთან ერთად უდიდესი შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა ახასიათებდა. მართალია, დღეს ტანვარჯიშმა მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ ტაიჭზე ფრიდონიშვილის მიერ შესრულებული ვარჯიში ახლაც ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს. ასე გაუძლო ამ ჭირვეული იარაღის ყველა მოდას ფრიდონიშვილისეულმა რთულმა კომბინაციამ.

ამიტომ ყველასთვის სასიხარული იყო, როცა 1964 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის თაოსნობით რესპუბლიკის ჩემპიონატში ტაიჭზე გამარჯვებულს ფრიდონიშვილის სახელობის პრიზს გადასცემდნენ. სამწუხაროდ, ამ წამოწყებას დიდი დღე არ ჰქონდა (გამარჯვებულებს პრიზი მხოლოდ 1964-65 წლებში გადაეცათ). რატომ მოხდა ასე? ეს ხომ შეჯიბრებას თავისებურ ელფერს მატებდა და, რაც მთავარია, მეგობრის ნათელი ხსოვნა უკვდავყოფილი იყო ტანვარჯიშის ჯეჯილისთვისაც.

ნ. მაკალათია, მ. ზოგუხი, ბ. აბრამიშვილი, თ. კარბელაშვილი, ი. ქართველიშვილი, მ. ოსიპოვი.

---

# კისლოვოდსკი პრეტენდენტთა მოლოდინშია

16 თებერვლიდან 8 მარტამდე კისლოვოდსკის XX პარტყრილობის სახელობის სანატორიუმის საუკეთესო დარბაზში გაგრძელდება ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი.

როგორც ცნობილია, ესპანეთის კუნძულ მენორკაზე გამართულ საზონათშორისო ტურნირში I ადგილი პიატიგორსკელმა მოჭადრაკემ ვ. კოზლოვსკაიამ დაიკავა. II-V ადგილები გაიყვეს ნ. ალექსანდრიამ (თბილისი), მ. შულმა (ლვოვი), ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი) და ი. ლევიტინამ (ლენინგრადი). სწორედ მათ უნდა განაგრძონ კისლოვოდსკში ბრძოლა პრეტენდენტთა შეჯიბრების ორი საგზურისთვის.

მატჩ-ტურნირში მეტოქენი ოთხოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. აქ პირველ-ორ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს ა. კუშნირი (მოსკოვი) და კოზლოვსკაია შეურთდებიან. შემდეგ ამ ოთხეულიდან გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს შეხვდება.

პრეტენდენტებიდან კისლოვოდსკში მხოლოდ ნ. ალექსანდრიას უთამაშია. ეს იყო 1971 წლის ნოემბერში, როცა ნანა ა. კუშნირს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში შეხვდა. მაშინ ნანამ ცუდად ითამაშა. ახლა მისი კისლოვოდსკელი ქომაგები წარმატების მოლოდინში არიან.

კისლოვოდსკი მზადაა სტუმრების მისაღებად. ყველაფერი გაკეთდა, რათა პრეტენდენტობის მაძიებელთ ბრძოლისთვის საუკეთესო პირობები ჰქონდეთ.

ზ. გაგაშელი,
კისლოვოდსკის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი.

---

### „კოლმეურნის" რაისაბჭოების კონფერენციებზე

ჩვენს რესპუბლიკაში დასასრულს უახლოვდება საქართველოს „კოლმეურნის" რაისაბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები. რიგი რაიონების კონფერენციების ჩატარების შესახებ ცოტა ხნის წინათ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. მას შემდეგ კონფერენციები გაიმართა რესპუბლიკის რაიონების კიდევ ერთ ნაწილში.

აბაშაში „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს უ. მიმინოშვილი, ადიგენში — რ. გედენიძე, ასპინძაში — თ. დევიძე, ახალქალაქში — მ. განდილიანი, ახალციხეში — ქ. სტეფანიანი, ახმეტაში — ნ. თედეშვილი, ბორჯომში — ჯ. ბერიძე, დუშეთში — გ. ბუჩაშვილი, ზუგდიდში — მ. ჩანგელია, თეთრწყაროში — თ. ქარჩუზაევი, თერჯოლაში — ნ. ფანჩულიძე, თიანეთში — ვ. შამუკაშვილი, კასპში — გ. ოთარაშვილი, ლანჩხუთში — ი. ებრალიძე, ლენტეხში — ნ. ჭურასბედიანი, მახარაძეში — ა. ჩხაიძე, მესტიაში — მ. ხერგიანი, მცხეთაში — თ. გიუნაშვილი, ორჯონიკიძეში — ა. მაღრაძე, საგარეჯოში — ი. ქვლივიძე, ქარელში — მ. ხარატიშვილი, ცხაკაიაში — ა. ყურაშვილი, წალენჯიხაში — გ. გოგუა, წალკაში — ი. მოისეევი.

---

# პრეტენდენტთა მატჩები

### კორჩნოი ნახევარფინალში გავიდა

ოგასტა (აშშ). აქ დამთავრდა ე. მეკინგ (ბრაზილია) — ვ. კორჩნოის (სსრ კავშირი) მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც საბჭოთა დიდოსტატმა მოიგო ანგარიშით 3:1.

XIII პარტია მატჩის დასკვნითი შეხვედრა აღმოჩნდა. წინა პარტიაში გამარჯვებით აგულიანებულმა ბრაზილიელმა დიდოსტატმა აგრესიულად გაითამაშა ძველინდური დაცვა. მან კორჩნოის მეფეს შეუტია, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. საბჭოთა დიდოსტატმა მძლავრი კონტრშეტევით ხელთ იგდო ინიციატივა, მერე მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა. მეკინგმა შეძლო ძალთა თანაფარდობის აღდგენა, მაგრამ მეთოდური წინსვლით კორჩნოიმ 42-ე სვლაზე პარტია გამარჯვებით დააგვირგვინა.

ამრიგად, კორჩნოი ნახევარფინალურ მატჩში შეხვდება პეტროსიან — პორტიშის ორთაბრძოლაში გამარჯვებულ დიდოსტატს. ამ მატჩში 11 პარტიის შემდეგ ლიდერობს პეტროსიანი — 2:1.

---

### „ლელოს" წერილების კვალდაკვალ

#### „არც მთავარი მსაჯი, არც აფიშები..."

ამ სათაურით „ლელომ" 1973 წლის 19 დეკემბერს დაბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების VIII საოლქო სპარტაკიადის უხეიროდ ჩატარებისთვის.

როგორც საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. თედეევი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი კრიტიკული ფაქტები ნაწილობრივ დადასტურდა, ფიზკულტურისა და სპორტის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს ა. თედეევს მიეცა მკაცრი გაფრთხილება. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით დასახულია სხვა ღონისძიებანიც.

#### „უყურადღებოდ მიტოვებული გუნდი"

ამ სათაურით „ლელოს" 1973 წლის 16 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია ეხებოდა ცხაკაიას „ეგრისის" ფეხბურთელთა გუნდში არსებულ ნაკლოვანებებს.

როგორც საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი მ. აბშილავა გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

შემოწმების შედეგები ამას წინათ განიხილა საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის ბიურომ. კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების, ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდისა და დაოსტატების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისთვის გუნდის უფროს მწვრთნელს გ. ოდიშარიას, აგრეთვე, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს შ. ჩიქობავას დაედოთ პარტიული სასჯელი.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი-74

### საკონტროლო მატჩები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდები შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში განაგრძობენ წინასასეზონო მზადებას, მართავენ საკონტროლო შეხვედრებს.

ლენინგრადის „ზენიტმა" ანგარიშით 4:0 დაამარცხა ერევნის „არარატი". კიევის დინამოელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს კიშინიოვის „ნისტრუს".

მოსკოვის „სპარტაკმა" და დონეცკის „შახტიორმა" ითამაშეს ფრედ — 0:0.

### ცსკა-მ ტურნე დაამთავრა

ნიუ იორკი, 14 თებერვალი. თავისი ბოლო მატჩი აშშ-ში მოსკოვის ცსკა-მ ჩაატარა ქ. სენტ-ლუისში (მისურის შტატი), ადგილობრივი „სენტ-ლუის სტარზის" წინააღმდეგ, რომელიც იქაურ პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში შედის. არმიელებმა საგრძნობი უპირატესობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 11:4.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოველ ფეხბურთელთა სტუმრობამ ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სენტ-ლუისში მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რომლებიც მანამდე მაინცდამაინც არ „წყალობდნენ" ევროპულ ფეხბურთს. „სენტ-ლუის სტეიდიუმის" დარბაზი გაავსო 11 ათასმა მაყურებელმა. ამ მატჩისთვის ფილადელფიიდან სპეციალურად ჩამოიტანეს სინთეტიკური საფარი, რომელიც დარბაზში მწვანე ბალახს სცვლიდა.

პრესა აღნიშნავს, რომ მოსკოველები თამაშობდნენ მსუბუქად, ლამაზად, ტექნიკურად. თავი გამოიჩინა ფედოტოვმა, რომელმაც გაიტანა 4 ბურთი, 2 გოლის ავტორი იყო დოროფეევი, თითოსი — პოლიკარპოვი, მოროზოვი, შლაპაკი, კაპლიჩნი და ტელინგერი.

სტადიონის ცისა

### გვეწვიეთ მინი-ფეხბურთზე

თბილისის სპორტის სასახლეში 18 თებერვალს სტარტს აიღებს ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული, მე-7 საქალაქო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელსაც საფუძველი 1968 წელს ჩაეყარა.

თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები მუდამ დიდ ინტერესს იჩენენ ნორჩ ფეხბურთელთა ამ ასპარეზობისადმი. ქალაქის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელები მაყურებლებს უჩვენებენ მაღალ ტექნიკას, სისწრაფეს, გამარჯვებისადმი სწრაფვას.

წლევანდელი შეჯიბრება ჩატარდება 2 ასაკობრივ კატეგორიად. როგორც ყოველთვის, ტურნირის საუკეთესო გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელებისთვის დაწესებულია სპეციალური პრიზები. იმედია, ნორჩი ფეხბურთელები კვლავ გაგვახარებენ საინტერესო, ლამაზი თამაშით.

მინი-ფეხბურთის ტურნირის საზეიმო გახსნა შედგება 18 თებერვალს 17 საათსა და 30 წუთზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ „ივერია", „ჩიორა", „შევარდენი", „არაგვი", „სინათლე", „ვარძია", „კრწანისი", „განთიადი", „ავაზა", „შოშია", „თერგი", რომლებიც სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებს წარმოადგენენ.

ი. ხოჯორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### ფინალში — იუგოსლაველები

13 თებერვალს გადაწყდა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის უკანასკნელი, მე-16 ფინალისტის საკითხი. გფრ-ის ქალაქ მაინის ფრანკფურტში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები, რომლებსაც საკვალიფიკაციო ჯგუფში თანაბარი მაჩვენებლები ჰქონდათ. ამ დამატებით მატჩს უნდა შეევსო ვაკანტური ადგილი ფინალის II ჯგუფში.

საინტერესოა, რომ პროგნოზების უმრავლესობა იუგოსლაველებს აძლევდა უპირატესობას და თვით ესპანელებიც კი არ იყვნენ მაინცდამაინც ოპტიმისტურად განწყობილი ამ უაღრესად საპასუხისმგებლო თამაშის მიმართ. პროგნოზები გამართლდა — ფინალში თამაშის უფლება იუგოსლაველებმა მოიპოვეს.

ანგარიშში მე-13 წუთზე გახსნა იუგოსლაველთა ცენტრალურმა მცველმა კატალინსკიმ, რომელმაც ახლო მანძილიდან თავით გაიტანა ბურთი ესპანელთა კარში. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა იუგოსლავიის ნაკრებს — 1:0.

# სტუმრები 11 ქვეყნიდან

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ძიუდოისტთა საერთაშორისო, რიგით V ტრადიციული ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობენ ავსტრიის, პოლონეთის, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, მონგოლეთის, კსდრ-ს, ბულგარეთისა და იაპონიის ათლეტები, აგრეთვე, უძლიერესი საბჭოთა ძიუდოისტები.

როგორც ყოველთვის, ტურნირი ქვემძიმე და მძიმე წონის ათლეტებმა დაიწყეს. დღის პირველ ნახევარში გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.

ქვემძიმე წონის ათლეტთა შორის პირველობისთვის იბრძვის 3 ჩვენი თანამემამულე — ზ. ბახტაძე და ა. მუზაევი „ა" ჯგუფიდან და თ. ხუბულური „ბ" ჯგუფიდან. ამ უკანასკნელს ნახევარფინალში უნდა შეხვდეს პოლონელი ზ. ბელიავსკი.

მძიმე წონის ათლეტთა შორის ნახევარფინალებში ბრძოლის უფლება მოიპოვეს: „ა" ჯგუფიდან — სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა ჯ. ნიჟარაძემ და ს. ნოვიკოვმა, „ბ" ჯგუფიდან — მ. გრიფმა (სსრ კავშირი) და ხ. უემურამ (იაპონია).

ტურნირი კვირას დამთავრდება.





სურათებზე: ქვემძიმე წონის ათლეტთა შეხვედრების მომენტები. ქვემოთ — ა. მუზაევი (საქართველო) და გ. ათანასოვი (ბულგარეთი), ზემოთ — ო. კიმ ენ ხო (კსდრ) და ე. აელიგტი (ავსტრია).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ყინულოვან ასპარეზზე

დღეს და ხვალ, ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშების ადგილას — ინსბრუკში გაიმართება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ყინულზე ციგურებით სწრაფრბენის სპრინტერულ მრავალჭიდში. საბჭოთა ნაკრების ღირსებას ავსტრიის ამ ქალაქში დაიცავენ ტ. ავერინა, ლ. სადჩიკოვა, ვ. კრასნოვა და ნ. სტატკევიჩი. ერთი კვირის შემდეგ საბჭოთა გუნდი გამოვა სეზონის ძირითად შეჯიბრებაში — მსოფლიო ჩემპიონატში კლასიკური მრავალჭიდის პროგრამით. იგი ჩატარდება ჰოლანდიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ ჰერენვენის ხელოვნურ საციგურაოზე. აქ საბჭოთა გუნდიდან იასპარეზებენ ნ. სტატკევიჩი, ტ. შელეხოვა და გ. სტეპანსკაია. გუნდის სათადარიგო წევრი იქნება ან ტ. ავერინა ან ლ. სავრულინა (ამ კანდიდატების საკითხი გადაწყდება ინსბრუკის ჩემპიონატის შემდეგ).

ჩვენი მოციგურავეების ლიდერს უდავოდ წარმოადგენს ნ. სტატკევიჩი, რომელიც ახლა კარგ ფორმაშია და სტაბილურ შედეგებს აღწევს. წინა წლებში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატებში ნ. სტატკევიჩი ორჯერ იყო ოქროს მედლის მფლობელი და ორჯერ — ვერცხლისა, მაგრამ ახლა იგი ძალზე რთული ამოცანის წინაშე დგას, ვინაიდან უმთავრეს კონკურენტად ჰყავს ფენომენალური ჰოლანდიელი მოციგურავე ა. კეილენ-დეელსტრა. ეჭვი არ არის, ა. კეილენ-დეელსტრა ინსბრუკში შეეცდება მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ვინაიდან იგი ამჟამად 35 წლისაა და წლევანდელი სეზონის შემდეგ საერთოდ აპირებს თავი დაანებოს შეჯიბრებებში აქტიურ გამოსვლას.

# „იმედით მივემგზავრებით"

დღეს ფალუნში (შვეცია) სტარტს აიღებს მოთხილამურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ მორბენლები, ორჭიდელები და ტრამპლინიდან მხტომელები.

წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ბაკურიანში საკავშირო თასების გათამაშების შემდეგ დადგინდა. ჩვენმა კორესპონდენტმა ინახულა ამ გუნდების ლიდერები, სპორტის დამსახურებული ოსტატები იეევსკელი გ. კულაკოვა და მოსკოველი ფ. სიმაშოვი და ესაუბრა მათ.

● როგორია ჩვენი მოთხილამურეების შანსები ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატში?

გ. კულაკოვა: ფალუნში იმედით მივემგზავრებით, თუმცა იოლ გამარჯვებას არც ჩვენ ველით. მე მგონია ნაკრები ღირსეული მოთხილამურეებით შეივსო. კოლექტივის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 20 წლის რაისა სმეტანინა ფალუნში მხარს აუბამს ისეთ გამოცდილ სპორტსმენებს, როგორებიც ოლიმპიური ჩემპიონი ალევტინა ოლიუნინა, დიდ საერთაშორისო ბრძოლებში ნაწრთობი ნინა ბალდიჩევა, ნინა სელიუნინა და ზინა ამოსოვაა.

ფ. სიმაშოვი: მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის რამდენიმე ოქროს მედლის მფლობელი ვიაჩესლავ ვედენინი ტრავმის გამო ფალუნში ვერ იასპარეზებს. მისი არყოფნა ჩვენს პასუხისმგებლობას უფრო ზრდის. იური სკობოვი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. 15 კილომეტრზე რბოლასა და ესტაფეტაში იგი თავის სიტყვას იტყვის. ვლადიმერ დოლგანოვი და ივანე გარანინი უკვე ნაცადი მორბენლები არიან. შედარებით გამოუცდელებია სერგეი საველიევი, ვასილ როჩევი, ანატოლი ბირიუკოვი, მაგრამ შემართება არ აკლიათ.

ფალუნში ძნელი ბრძოლები იქნება, მაგრამ ჩვენ იქ სეირის საყურებლად კი არა, ბრძოლების მონაწილეებად მივდივართ და ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ნადავლით დავბრუნდეთ.

# მოზარდთა იღბლიანი სტარტები

სლავსკში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოზარდთა პირად-გუნდური პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში. ამ შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის სახელით ბაკურიანის „დინამოს" სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები გამოდიოდნენ. ჩვენმა ჭაბუკებმაც და გოგონებმაც კარგად იასპარეზეს და რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

ბაკურიანელები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ გიგანტურ სლალომში. აქ მათ საერთო პირველი ადგილი დაიკავეს, მაგრამ სწრაფდაშვებაში წარუმატებლობის გამო გოგონებიცა და ჭაბუკებიც საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილებს დასჯერდნენ.

პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა. სწრაფდაშვებაში გოგონები 1600-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 390 მ, 14 კარი) ცდიდნენ ძალას. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის ყველას აჯობა გ. კოლოდიიჩუკმა (უკრაინა). ბაკურიანელები ტ. ლანდოიანი და ქ. აკოფოვა III და IV ადგილებზე გავიდნენ. საშუალო ასაკის ჯგუფში ჩემპიონი გახდა მ. ოვაცი (უკრაინა). მ. კოზანაშვილმა და თ. ბანდურმა კარი გამოტოვეს და ასპარეზობიდან მოიხსნენ.

ჭაბუკთა ტრასა 200 მეტრით გრძელი იყო, სიმაღლეთა სხვაობამ კი 530 მეტრს მიაღწია. მოზარდებს 16 კარი უნდა გაევლოთ. უფროსი ასაკის ჯგუფში პირველობისთვის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ვ. გოტოვსკისა (მოსკოვი) და გ. ჯიჩოევს (ბაკურიანი) შორის. საბოლოოდ პირველობა გოტოვსკის დარჩა, ჯიჩოევი II ადგილს დასჯერდა, მისმა თანაგუნდელებმა დ. სოთიშვილმა და გ. ულფანოვმა კი V და VI ადგილები დაიკავეს.

საშუალო ასაკის ჯგუფში ვ. ხანაკოევი VII ადგილზე გავიდა, ა. კოზანაშვილი კი მერვე იყო. ყველას მოსკოველმა დ. კუზნეცოვმა აჯობა, მაგრამ ვალში არც ბაკურიანელები დარჩენილან. მეორე დღეს გიგანტურ სლალომში (ტრასის სიგრძე 1200 მ, სიმაღლეთა სხვაობა 340 მ, 43 კარი) ხანაკოევი ჩემპიონი გახდა — 1.38,7, კოზანაშვილმა კი III ადგილი დაიკავა. უფროსი ასაკის სპორტსმენებში საუკეთესო შედეგი გ. ჯიჩოევს აღმოაჩნდა.

გოგონებისთვის გიგანტურ სლალომში 830-მეტრიანი ტრასა მოეწყო (სიმაღლეთა სხვაობა 280 მ, 36 კარი). საშუალო ასაკის ჯგუფში ბაკურიანელებიდან საუკეთესო იყო თ. ბანდური, რომელმაც V ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა ა. სიკანს (უკრაინა). უფროსი ასაკის ჯგუფში ლანდოიანსა და აკოფოვას II და III ადგილები ხვდათ. მათ მხოლოდ ნ. კუჩერუკმა (მოსკოვი) აჯობა.

ბოლოს ჩატარდა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. ორივე ასაკის ჭაბუკებისთვის 380-მეტრიანი დისტანცია მოეწყო (სიმაღლეთა სხვაობა 100 მ, 41 და 43 კარი). სანაკოევმა და კოზანაშვილმა, როგორც ჩანს, მეტისმეტი მონდომება გამოიჩინეს და შეჯიბრება ვერ დაამთავრეს. გამარჯვება ს. ჟუკოვმა (მოსკოვი) დაისაკუთრა. უფროსი ასაკის ჯგუფში ჯიჩოევმა (1.33,8), სოთიშვილმა (1.37,3) და ულფანოვმა (1.39,4) II, III და IV ადგილები დაიკავეს, რითაც გუნდს 27 ქულა მოუპოვეს. ჩემპიონი აქაც მოსკოველი დ. ბოგაჩოვი გახდა — 1.32,2.

გოგონათა შეჯიბრების 330- და 370-მეტრიან დისტანციებზე (სიმაღლეთა სხვაობა 100 მ, 37 და 36 კარი) ბედმა უკრაინის გუნდის წევრებს გაუღიმა. საშუალო ასაკის ჯგუფში მოასპარეზეებმა — მ. ოვაცმა და ა. სიკონმა I და II ადგილები დაისაკუთრეს. მ. კოზანაშვილი მეოთხე იყო, თ. ბანდური კი — მეექვსე.

კუჩერუკმა ამ სახეობაში მეორე გამარჯვება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აკოფოვა და ლანდოიანი.

სამჭიდში უფროსი ასაკის ჯგუფში აშკარა იყო ბაკურიანელ ჭაბუკთა და გოგონათა უპირატესობა. ჭაბუკებში პირველობა წილად ხვდა ჯიჩოევს. II ადგილი დაიკავა ბოგაჩოვმა (მოსკოვი), III — სოთიშვილმა. გოგონებში ლანდოიანსა და აკოფოვას მეტოქეობა ვერავინ გაუწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რისკის საფასურად — ოქრო

შვეიცარიაში, კურორტ სანკტ-მორიცის ტრასებზე, ცხრა დღეს გაგრძელდა სამთომოთხილამურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ევროპელთა უპირატესობა აშკარა იყო. ყველა სახეობაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად იტალიელ, ავსტრიელ და ფრანგ სპორტსმენთა შორის გაჩაღდა, თუმცა ამ დავაში დროდადრო შვეიცარიის, გფრ-ისა და ლიხტენშტაინის მოთხილამურეებიც ჩაერეოდნენ ხოლმე.

ქალთა და ვაჟთა გიგანტური სლალომის შედეგებზე „ლელო" უკვე წერდა. ქალთა სწრაფდაშვებაში (2400 მ, სიმაღლეთა სხვაობა 575 მ) მსოფლიო თასის სამგზის მფლობელმა ა. პრიოლ-მოზერმა (ავსტრია) მსოფლიო ჩემპიონობა პირველად მოიპოვა — 1.50,84. ვერცხლის მედალი წილად ხვდა კანადელ ბ. კლიფორდს (1.51,73), რომელიც ტრავმის გამო სარბიელზე რამდენიმე წლის განმავლობაში არ გამოსულა. ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა ვ. დრექსელმა (ავსტრია) — 1.52,15. საბჭოთა სპორტსმენები ა. ასკაროვა (1.58,70) და გ. შიხოვა (1.58,95) შესაბამისად 28-ე და 30-ე ადგილებზე დარჩნენ.

ქალებმა ჩემპიონატი 420-მეტრიანი სპეციალური სლალომის ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 135 მ, 52 და 54 კარი) ასპარეზობით დაამთავრეს. პრიოლს, თუ ერთ-ერთ საპრიზო ადგილს დაიკავებდა, სამჭიდში ჩემპიონი გახდებოდა. მან პირველივე დაშვებაზე დიდი რისკი გასწია, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ჩემპიონი გახდა ლიხტენშტაინელი ჰ. ვენცელი, რომელმაც პირველ ცდაზე მეორე შედეგი აჩვენა, მეორე დაშვებისას კი ყველას აჯობა და საბოლოოდ ოქროს მედალი დაისაკუთრა — 1.34,63. ფრანგი მ. ჟაკო მას 0,52 წამით ჩამორჩა და ვერცხლის ჯილდო მოიპოვა. მასპინძელთა წარმომადგენელი ლ. მორეროდი III ადგილზე გავიდა — 1.35,29.

ამ სახეობაში ასკაროვას 34-ე ადგილი ხვდა (1.47,89), შიხოვას — 36-ე (1.49,25), თ. პერჩატკინას — 37-ე (1.49,63).

სამჭიდმა უპირატესობა მოუტანა გიგანტურ სლალომში მსოფლიო ჩემპიონს ფ. სერას (საფრანგეთი), რომელიც სპეციალურ სლალომში IV ადგილზეა. II ადგილი დაიკავა ვენცელმა, III — კაზერერმა (ავსტრია).

ვაჟები სწრაფდაშვებაში 3200-მეტრიან ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც ცნობილია, მანამდე გიგანტური სლალომი იტალიელთა დიდი უპირატესობით ჩატარდა. ახლა ავსტრიელებმა აიღეს რევანში — უძლიერესთა ექვსეულში ამ ქვეყნის სამი სპორტსმენი მოხვდა. გაიმარჯვა დ. ცვილინგმა — 1.56,98, II ადგილი დაიკავა ფ. კრამერმა — 1.59,01, III — ვ. ფრომელტმა (ლიხტენშტაინი) — 1.58,16. საბჭოთა სპორტსმენთა შედეგები ასეთია: ს. გრიშჩენკო — 2.06,81, 48-ე ადგილი; ა. გოლუბკოვი — 2.09,41, 64-ე; ი. ციაგუნსი — 2.11,34, 65-ე.

სპეციალური სლალომის 560-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 225 მ, 76 კარი) პირველი ცდა იტალიელმა პ. გროსმა მოიგო — 57,49. მის თანაგუნდელს, გიგანტურ სლალომში მსოფლიო ჩემპიონ გ. ტონის მეორე შედეგი ჰქონდა. ამიტომ ტონიმ მეორე ცდის დროს ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ მისი წარმატებისა ალარავის სჯეროდა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს ბედმა გაუღიმა. ტონი ფინიშთან მშვიდობიანად მივიდა (51,07) და ორი ცდის ჯამში ჩემპიონი გახდა — 1.49,98. დ. ცვილინგი ვერცხლის მედალს დასჯერდა — 1.50,76. ბრინჯაოს ჯილდო მიიღო სპეციალურ სლალომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ესპანელმა ფ. ფერნანდეს-ოჩოამ — 1.51,56.

საბჭოთა სპორტსმენებიდან ტრასა მხოლოდ გოლუბკოვმა დაამთავრა — (2.10,0) და 35-ე ადგილი დაიკავა. სამჭიდში იგი სწორედ ამ შედეგის წყალობით გავიდა XII ადგილზე.

სამჭიდში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა ფ. კრამერს და ჩემპიონობაც მას ხვდა. II ადგილი დაიკავა ა. ბაჰლედამ (პოლონეთი), III — ვ. იუნგინგერმა (გფრ).



ბაკურიანის კონტრასტები.

ხ. გურასაშვილის ფოტო.

# ყველა გზა რომში მიდის

ამას წინათ ვარშავაში გაიმართა ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის კონგრესისა და საბჭოს სხდომა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად მოისმინა იტალიის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენლის მოხსენება კონტინენტის წლევანდელი ჩემპიონატისთვის რომის მზადების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს პირველობა იტალიის დედაქალაქში 2-8 სექტემბერს ჩატარდება.

რომი ჩემპიონატისთვის გულმოდგინედ ემზადება. ოლიმპიადის შემდეგ ეს იქნება უდიდესი ღონისძიება „ფორო იტალიკოს" სტადიონზე. ამიტომ მასპინძლები არაფერს იშურებენ: მარტო ოლიმპიური სტადიონის კეთილმოწყობისთვის უკვე მილიონამდე დოლარი დახარჯეს. ჩემპიონატის უკეთ მომსახურებისთვის საჭირო დანადგარების შესაძენად და დასადგმელადაც დიდი თანხა გამოიყო. შვეიცარიის ფირმა „ლონჟინის" მუშაკებს დავალებული აქვთ ქრონომეტრაჟის, ვიდეოჩანაწერებისა და ფოტოფინიშის საკითხის მოგვარება, ფირმა „ცეისის" წარმომადგენლებს კი ხტომასა და ტყორცნაში მანძილის ზუსტად გაზომვა.

ოლიმპიურ სტადიონსა და საწვრთნელ მოედანზე ტარტანი უკვე დააგეს. ორივე ბაზა ერთმანეთთან გვირაბით დააკავშირეს, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდებს სავარჯიშოდ უკეთესი პირობები ჰქონდეთ. მონაწილეთა განკარგულებაში იქნება, აგრეთვე, „ფარნეზინოს" (წიდოვანი ბილიკებით) და „აკაჩეტოზას" სტადიონები (ეს უკანასკნელი მტყორცნელებს დაეთმობათ).

იტალიის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა ოლიმპიური სტადიონის შესამოწმებლად 21 ივნისს ჩაატაროს დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ევროპის ყველა ქვეყნის სპორტსმენები არიან მიწვეული. 29-30 ივლისს კი ეს ბაზები ქვეყნის ჩემპიონატს უმასპინძლებენ.

იტალიის მძლეოსნობის ფედერაციამ კონტინენტის ჩემპიონატის მსაჯებზეც იზრუნა: საუკეთესო სპეციალისტები შეარჩია და მათთვის სემინარები გამართა. მარტში რომში ევროპის მსაჯთა პირველი სემინარი ჩატარდება. ამ სემინარზე 50 იტალიელი არბიტრის გარდა კვალიფიკაციას აიმაღლებს ყველა ქვეყნის 3-3 წარმომადგენელი.

დიდი ყურადღება დაეთმობა სტუმრების კულტურულ მომსახურებას. ჩემპიონატის გახსნის დღეს — 1 სექტემბერს მონაწილეთა აღლუმის მერე მოედანზე მოცეკვავეთა ანსამბლის წევრები გამოვლენ. ყოველ საღამოს იმუშავებს ინტერკლუბი ვრცელი პროგრამით, კლუბში კინოფილმებსაც უჩვენებენ. თავისუფალ დღეებში რომის ღირსშესანიშნავ ადგილებში მოეწყობა ექსკურსიები. მძლეოსნობის ევროპის ასოციაციის საბჭომ კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დააწესა ნორმატივები, რომლებიც ნაჩვენები უნდა იქნეს ა. წ. 1 მარტიდან 22 აგვისტომდე.

ნორმატივები ასეთია: **ქალები.** რბენა. **100 მ** — 11,6, **200 მ** — 23,8, **400 მ** — 54,0, **800 მ** — 2.05,0, **1500 მ** — 4.16,0, **3000 მ** — 9.10,0. **100 მ** თარჯრბენი — 13,6. სიმაღლეზე ხტომა — 180. სიგრძეზე ხტომა — 635. ბირთვის კვრა — 16,50. ბადროს ტყორცნა — 55 მ. შუბის ტყორცნა — 54 მ ხუთჭიდი — 4200 ქულა.

**ვაჟები.** რბენა. **100 მ** — 10,3, **200 მ** — 21,0, **400 მ** — 46,8, **800 მ** — 1.47,8, **1500 მ** — 3.41,0, **5000 მ** — 13.45,0, **10000 მ** — 28.50,0. თარჯრბენი. **110 მ** — 14,1, **400 მ** — 51,2. **3000 მ** წინაღობებით — 8.38,0. სიმაღლეზე ხტომა — 214. სიგრძეზე ხტომა — 775. სამხტომი — 16,30. ჭოკით ხტომა — 510. ბირთვის კვრა — 19 მ. ბადროს ტყორცნა — 59 მ. შუბის ტყორცნა — 79. უროს ტყორცნა — 68 მ. მარათონი — 2:19.00. ათჭიდი — 7500 ქულა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების განყოფილება, თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, 25 თებერვლიდან 6 მარტამდე აწყობს ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე 18 საათიდან. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

მსურველებს ცნობების მიღება შეუძლიათ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6).

## რაიონებში სპორტი

### ახმეტა

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შეჯიბრებებში პირველი ადგილები დაიკავეს მატნის საშუალო სკოლის გუნდებმა. პირველობა ჭადრაკშიც მატნის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

ო. სულაშვილი,
მატნის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

### ხონი

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში აქ გაიმართა სარაიონო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკეთა გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ხონის 1-ელი საშუალო სკოლის გუნდმა. პირად ჩათვლაში ვაჟთა და გოგონათა შორის ჩემპიონები გახდნენ და-ძმა რ. და ბ. ლაგვილავები. მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს: ვაჟთა შორის — ხონის მე-2, ხოლო გოგონათა შორის — ჭალადიდის საშუალო სკოლების გუნდებმა.

ა. ხანიკიძე.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Старт

### კრაიშემ ვარჯიში განაახლა

ცნობილმა ნახევარმცველმა, გდრ-ის პირველ ფეხბურთელად აღიარებულმა ე. კრაიშემ (დრეზდენის „დინამო") ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ განაახლა ვარჯიში. ნაკრების მწვრთნელი გ. ბუშნერი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში კრაიშეზე დიდ იმედებს ამყარებს. ეს შესანიშნავი ოსტატი ნაკრების გამთამაშებელია, ამავე დროს თვითონაც სახიფათოდ უტევს მეტოქის კარს და გოლებიც გააქვს.

### „ურთიერთ სიმპათიები"

მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა აცხადებს, მიმომხილველებსა და ფოტოკორესპონდენტებს გუნდს აღარ გავაკარებთო. საქმე ისაა, რომ ესპანურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი არიან ამანსიო, პირი და „რეალის" სხვა მოთამაშეები. ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, მოკრივეთა როლში გამოდიან და მუშტებს ურტყამენ მეტოქეებს.

თავის მხრივ, ბევრმა ჟურნალისტმაც გამოაცხადა, ამიერიდან „რეალს" აღარ გავეკარებითო.



### „ბაიერნის" ოთხი „ლანდსკნეხტი"

გფრ-ის გუნდ „ბაიერნის" (მიუნხენი) რიგებში ოთხი უცხოელი „ლანდსკნეხტია": დანიელი მცველები ჯ. ჰანსენი და ვ. იენსენი, იუგოსლაველი მცველი დ. იოვანოვიჩი და შვედი ნახევარმცველი კ. ტორსტენსენი. გფრ-ში მოქმედი კანონებით, გუნდს ნება აქვს ჩემპიონატში მხოლოდ ორი უცხოელი გამოიყვანოს, ევროპის ტურნირებში კი „ლანდსკნეხტების" რაოდენობა შეზღუდული არ არის.

### არა მარტო ბუენოს-აირესში...

როგორც ცნობილია, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში არგენტინაში შედგება. ბუენოს-აირესში რამდენიმე დიდი სტადიონია, რომლებზეც თამამად შეიძლება მთელი ჩემპიონატის ჩატარება, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია არ აპირებს მარტო დედაქალაქის სტადიონებით შემოიფარგლოს. მისი განცხადებით, თამაშები ჩატარდება როზარიოსა და კორიენტესშიც.

## მოგების შემდეგ — ფრე

თებერვლის ბოლო რიცხვებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იწყება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. სწორედ ამ დიდი შეჯიბრებისთვის მზადებას მიეძღვნა მოსკოვში გამართული ორი ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა საბჭოთა ხელბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 22:19 (10:8). მეორე მატჩი გაიმართა 13 თებერვალს. ამჯერად მეტოქეები ფრეს დასჯერდნენ — 16:16 (10:10).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58 გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02476